# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



ვემებ ფრანგულის ენის გაკვეთილებს.

პეტრე მირიანიშვილი.

მელიქ ნაგორნის ქუჩა, № 9. (10—7)


ტფილისი, 12 სექტემბერი

წარსულს წერილში ჩვენ რამდენისამე სიტყვით აღვნიშნეთ პროფესორის ალ. ცაგარლის თხზულების მნიშვნელობა საერთოდ მეცნიერებისათვის და კერძოდ ქართველთათვის. ეხლა მეტი არ იქნება მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ თვით დედააზრს ბ-ნის ცაგარელის თხზულებისას. როგორც ვსთქვით, ცაგარლის წიგნი ეხება ქართველთა ხანგრძლივს მოღვაწეობასა და მოქმედებას უცხო ქვეყნებში... რა აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართველთათვის ჩვენთა მამა-პაპათა მოღვაწეობას ათონის მთაზე, პალესტინაში და სინაზე? რისი მაჩვენებელი და მომასწავებელია ეს მოღვაწეობა, რა მხრით გვიხატავს ჩვენს წარსულს, ზნეობრივსა და გონებრივს თვისებასა და ძალას? აი ის უმთავრესი საკითხავი, რომელზედაც პასუხი უნდა აგოს მეცნიერებამ. ბ-ნის ცაგარლის წიგნი-კი იმითი არის შესანიშნავი და საყურადღებო, რომ მრავალს მასალას გვაძლევს ამ რთულის საკითხავის გამოსარკვევად.

ეხლა ვნახოთ რას მოგვითხრობს და რა მხრით გვიხატავს ბ-ნის ცაგარლის წიგნი ჩვენს წარსულს მოღვაწეობას პალესტინაში. საჭიროც არ არის მოვიხსენიოთ, რომ ამ მოღვაწეობამ საქართველოში განაძლიერა და დაამკვიდრა ქრისტიანობა; ეს უთქმელადაც ცხადი და უეჭველია, ხოლო იგი მოღვაწეობა საგულისხმოა სხვა მხრით. საზოგადოდ გავრცელებულია ის აზრი, ვითომ ქართველი ერი ხასიათით, წარსულითა დაშორებულია ევროპაზედ, რომ იმისი წარსული ისეთს არაფერს შეიცავს, რაიცა საყურადღებო და ღირს-საცნობი იყოს. რასაკვირველია, ეს წარა-მარა ლაპარაკი უმეცრების ნაყოფია და იმ დროსაც შევესწრებით, რომ ამ ლაპარაკსაც ბოლო მოეღება, როცა ჩვენი წარსული საკმაოდ გამორკვეული და შესწავლული იქნება. ის მასალაც, რომელიც დღემდე შეუგროვებიათ და გამოუქვეყნებიათ, ნათლად გვიხატავს, რომ ქართველი ერი არც ისე უმნიშვნელო ყოფილა მსოფლიო ისტორიაში და ზოგიერთები, სინილისი რომ შესწევდეთ, თავისებურს განძრახს ლაპარაკს თავს უნდა დაანებებდნენ.

ქართველთა მოღვაწეობა პალესტინაში შესანიშნავია მით, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენს მონაწილეობას იღებდნენ ქართველები მსოფლიო ისტორიაში და განსაკუთრებით ევროპისაში, რა განწყობილება ჰქონიათ ქართველებს ყველა განათლებულ, დაწინაურებულ ერთან. მას შემდეგ რაც ქრისტემ გვიმოძღვრა თავისი რჯული და წამებულ იქმნა პალესტინაში, პალესტინა შეიქმნა ქრისტიანულის კულტურის დედა-ბუდედ. იქ მიეშურებიან ქრისტიანენი ქრისტეს საფლავის თაყვანის საცემლად, იქ აარსებენ მონასტრებს, ეკკლესიებს, იქვე ფეხს იდგამს საღვთისმეტყველო მწერლობა, მხატვრობა, ხუროთ-მოძღვრება, იქ ქრისტიანები პირისპირ ჰხვდებიან მოსლემინებსა და უკანასკნელის სისხლის წვეთამდე იბრძვიან ქრისტეს სახელით. იქიდგან ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება, მწერლობა და სხვანი ვრცელდება მთელს ევროპაში; ერთის სიტყვით, იქ იყო ბუდე დღევანდელის ქრისტიანულის კულტურისა, რომელიც შეითვისა და შეიხორცა მთელმა ევროპამ, და აი, ამ კულტურის ბუდეში ქართველები იღვწვიან თითქმის თხუთმეტის საუკუნეს განმავლობაში, იღვწვიან ვითარცა მეომარნი, მწერალნი, მხატვარნი, ხუროთ-მოძღვარნი, და მხარს აძლევენ ბერძნებს, რომაელებს, სომხებსა და სხვათა. სხვებთან ერთად ავარჯიშებენ თავიანთს გრძნობა-გონებას და სხვებთან ერთად სისხლსა ჰღვრიან ქრისტიანულის კულტურისათვის.

როგორც აღმოსავლეთისა და ევროპის მწერალნი მოგვითხრობენ, ქართველებს საკმაოდ თვალსაჩინო და საპატიო ადგილი ეჭირათ სხვა განათლებულ ერთა შორის და ყველა მომსწრენი და მოწამენი დიდის პატივისცემით იხსენიებენ ქართველთა თავ-დადებულობას, მხნეობასა და მოღვაწეობას. ამ მოღვაწეობამ ქართველები დაუახლოვა მთელს განათლებულს კაცობრიობას ძველის დროისას. იმისის წყალობით ქართველებს მუდმივი მისვლა-მოსვლა და კავშირი ჰქონიათ ევროპასთან, და თუ ჩვენ ბოლომდე მხარ-და-მხარ ვერ მივყევით სწავლა-განათლებაში ევროპას, ამისი მიზეზი გარეშე ისტორიული ვითარება იყო და არა ვითომდა ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი სისუსტე. ვიმეორებთ, ჩვენი მოღვაწეობა პალესტინაში იმისი მაჩვენებელია, თუ რა გვქონია საერთო ევროპასთან, საითკენ მივიზიდებოდით და რაოდენს ძალღონეს ვხმარობდით ევროპიულის კულტურისა და სწავლა-განათლების დასამკვიდრებლად საქართველოში.

აქედგან ცხადია, რომ ჩვენი წარსული და ისტორია მეტად საყურადღებოა მეცნიერებისა და ევროპისათვის. ევროპა დიდის გულმოდგინებით იძიებს და სწავლობს პალესტინის ისტორიას და უეჭველია ჩვენი წარსულიც მიიზიდავს იმისს ყურადღებას და ადრე თუ გვიან ნათელი მოეფინება მთელს ჩვენს წარსულს. მაშინ, როგორც ბ-ნი ცაგარელი ბრძანებს, საქართველოს ისტორია საპატიო ადგილს დაიჭერს მსოფლიო ისტორიაში.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, ტფილისში უნდა ჩამოვიდეს მისი ყოვლად უწმინდესობა სომხეთა პატრიარქ-კათოლიკოსი მაკარი. მისი უწმინდესობა რკინის გზის სადგურ აქსტაფიდგან პირდაპირ ჩვენს ქალაქში ჩამოვა. კვირას, 11 სექტემბერს, მისის უწმინდესობის დასახვედრად, ტფილისიდგან გაემგზავრა ადგილობრივის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი არისტაკესი სამღვდელოებითურთ.

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოებისაგან შედგენილი დასი, როგორც შევიტყეთ, დაიწყებს წარმოდგენებს ბანკის თეატრში 22 ენკენისთვეს, ხუთშაბათს. პირველის წარმოდგენის გამართვას საზოგადოება აპირებდა უფრო ადრეც, ამ თთვის ნახევარში, მაგრამ ფორკატის ჯერ თეატრი რიგზე არ მოუყვანია და წარმოდგენების დაწყება 20 ენკენისთვეზე ადრე ვერ მოხდება.

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოების წლიური კრება ამ თთვის დამლევისათვის არის დანიშნული. კრებაზე წაკითხული იქმნება წლიური და ამ სეზონის საგარაუდო ანგარიში და არჩეულ იქმნებიან ახალნი წევრნი საზოგადოებისა. რიცხვი საზოგადოების წევრთა ამ ჟამად მეტად მცირეა და სასურველია შემდეგისათვის მაინც იმატოს.

*** ბ-ნს ე. გუნიას, დიდის კალენდარის გარდა, შეუდგენია იაფ ფასიანი პატარა სახალხო კალენდარი, რომელიც უკვე იბეჭდება და ამ თთვის ოცში გამოვა გასასყიდლად, ხოლო დიდი «საქართველოს კალენდარი» ოქტომბერის დასაწყისში იქნება მზადა.

*** იგივე ე. გუნია ამ ჟამად სთარგმნის რუსულს პიესას „На маневрахъ“, რომელსაც წარსულს სეზონს ფორკატის დასი არდგენდა და ბევრს მაყურებელს იზიდავდა. პიესას ერქმევა „ალლუმზე“ და წარმოდგენილი იქნება ქართულის დასისაგან მომავალს სეზონში.

*** გუშინ-წინ, კვირას, 11 სექტემბრის საღამოს 5 საათზედ, იტალიის ბაღში გაიმართა ჭიდაობა. პირველში, ჩვეულებისამებრ, ჭიდაობა პატარა ბიჭებიდგან დაიწყეს. ხალხი ძალიან დიდ-ძალი მოაწყდა ბაღს, ასე რომ ბილეთები სულ გაიყიდა, ერთი ასამდე ძალად გაარღვია პოლიციელნი და შევიდა და ორას-სამასი კიდევ გარედ იდგა და ელოდა, აბა ენახოთ რა ამბავს გამოიტანენ, ვინ ვის დაამარცხებს და ვინ გაიმარჯვებსო. ხალხის ასე ძლიერად თავ-მოყრის მიზეზი ის იყო, რომ ახალგაზდა ესებუას ეჭიდებოდა ძველი მოჭიდავე ღოღაძე. პატარათა სასიამოვნო ჭიდილს შემდეგ გამოვიდნენ ვიღაც მედროგე და მუხრანელი, ის, რომელიც წარსულს კვირას დაეჭიდა ესებუას და წაქცეულ იქმნა. მუხრანელს არც ამ კვირია გაუმარჯვნია, ამ კვირიაც დამარცხდა.

## ფელეტონი

ორნი არიან

ტოლნი არიან

ანუ

ბგანგალა, განგალა

შავროვი და სანდალა.

### I

ეს მეცხრამეტე საუკუნე, რომელიც, ჰა, სულის დალევამდეა მიწურული, ნაქებია და სახელ-განთქმული მრავალ გვარ აღმოჩენებითა, და ნაქმარ-ნამოქმედარითა. რა არ შეჰქმნა ამ მეცხრამეტე საუკუნემ! მიიხედ-მოიხედეთ და განკვირვებასა თქვენსა არა ჰქონდეს საზღვარი დასრულებისა, რამეთუ მრავალ არიან საქმენი მისნი, კაცად-კაცამდე საოცარ.

ეს თავ-მოწონებული, მაგრამ სასიკვდილოდ მიბერებული საუკუნე მაინც თავისას არ იშლის და მაშინ, როდესაც „საფლავისკენ ფეხი გაუშვერია“, კვლავ იმასა ჰნაღვლობს, რომ ახალის აღმოჩენით რამით გააკვირვოს უამისოდაც გაოცებული ქვეყანა და ისე ჩაჰბარდეს პატრონს, რომელსაც დრო და ჟამის უფსკრულს ეძახიან.

ეს ქვეყანა მრავალ საიდუმლოებით არის სავსე. ჯერ კიდევ შექსპირმა სთქვა, რომ ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა საიდუმლოებაა, რომელიც თქვენს ფილოსოფოსებს სიზმრადაც არ მოსჩვენებიათო. აი თუნდა იმისთანა რამ როგორც მოვლენაა „სანდალასი“. საიდუმლოებაა, მაშ რა ეშმაკი და ქაჯია, მერე იმისთანა საიდუმლოებაა, რომელიც ფილოსოფოსებს არც დღემდე მოსჩვენებიათ და არც არასოდეს მოეჩვენებათ და სულელებისა-კი რა მოგახსენოთ.

საიდუმლოების მალულ-ფარულობას კიდევ აიტანდა ეს ცოდვილი ქვეყანა, რომ ამას სხვა ჭირიც ზედ არ მოჰხვევოდა თავს. იყოს საიდუმლოება საიდუმლოდ, ვის რას უშლის? ჭირი ის არის, რომ ეს ქვეყანა შეცდომებითაც სავსეა. ამისი-კი რა მოგახსენოთ. ცდომა ერთობ ვერაფერი რამ არის. ცდომა მგმობელი და მოღალატე რამ არის ადამიანისა, იმისი შინაური მტერია და ხომ მოგეხსენებათ შინაური მტერი რა ადვილადა სტეხავს შიგნიდამ ციხესა. დღეს თუ კაცი გატეხილია, თუ დღეს თავსა და ბედს იწყევლის, სწორედ ამ შეჩვენებულის ცდომისაგან არის.

შენი მტერი იქნებოდა, რომ ან საიდუმლოების ფარდის ამხდელი არავინ გაჩენილიყო ქვეყანაზედ კაცთა სასიხარულოდ და ან ცდომის მასწორებელი. რა ვიქნებოდით მაშინ? მაგრამ არა! განგებამ შეგვიბრალა, შეგვიწყალა და ათასში ერთხელ იმისთანა კაცი გაგვიჩნდება ხოლმე, რომ ან საიდუმლოებას თავის ჯურღმულიდამ მზეზე გამოიყვანს ხოლმე ან ცდომას აბათილებს და ასწორებს. ამიტომაც მადლიერ ადამიანისაგან ქებული და დიდებული ან ის არის, რომელიც რომელსამე საიდუმლოებას ქვეყნისას სამალავს უპოვნის, სარქველს ახდის, დამალულს აღმოაჩენს და სიხარულით შესცინებს: „ჯიჯიტაო“, ან ის, რომელიც ცდომას კუდში ხელს წაავლებს, მიწაზედ დაანარცხებს და გამარჯვებით დასძახებს: აგრე უნდა შენისთანა მატყუარასაო.

სხვა ქვეყნებში ამისთანა კაცები თითო-ოროლა აჩუქა ამ მეცხრამეტე საუკუნემ, დარჩა უამისთანოდ მარტო ჩვენი ქვეყანა. ერთი ამისთანა კაცი არ გაიმეტა ჩვენთვის, არ გვაღირსა და დღეს აქამომდე ვიყავით პირ-დაღებულნი და ამ მხრით სხვაზედ უკან ჩამორჩომილნი. ბოლოს გვიბრალა ამ შეუბრალებელმა მეცხრამეტე საუკუნემ, ჩვენც გადმოგვხედა მოწყალის თვალით და გაგვერია ქვეყანაში. დღეს ჩვენც თავ-მოწონებით შეგვიძლიან გამოვიდეთ და ვიძახოთ: ჩვენცა გვაქვს უნარი საქებ-სადიდებელის კაცების ყოლისაო. ჩვენის ცხოვრების მოედანზედ შეგვიძლიან ვაჩვენოთ ორი ამისთანა ფალავანი კაცი და თუმცა არც ერთს მათგანს საიდუმლოება რამ ქვეყნისა ბნელ სამალავიდამ გარედ არ გამოუთრევია, მაგრამ-კი თვითეულს მათგანს ცდომისათვის ყელში თოკი წაუჭირებია, ლამის დარჩობასა და დღის ხნის ცდომისაგან ჩვენს დახსნასა.

მინამ ან ერთს და ან მეორეს დავასახელებდე, გეტყვით ან ერთმა და ან მეორემ სად რა ცდომა აღმოაჩინა და რა სარმა გამოჰკრა პირქვე დამხობისათვის, რამეთუ ნაყოფისაგან მისისა ხე იგი საცნაურია.

მათემატიკა,—ხომ მოგეხსენებათ—ზედ-მიწევნილი მეცნიერებაა, უტყუარი და უცდომელი, ვითარცა პაპი რომისა. მას აქედ, რაც მათემატიკა მეცნიერებად ცნობილია, მისი უტყუარობა და უცდომელობა არავის უარ არ უყვია, თვით სანდალასაც-კი, რომელიც ყველაფერს უარს ჰყოფს და ჰგმობს. თურმე ნუ იტყვით, ამ ვაჟბატონს მათემატიკას ამდენი ხანი ქვეყანა უტყუებია და არც უტყუარი ყოფილა, არც უცდომელი. წარმოიდგინეთ, რა ცდომაში შევყვანდით ამ მატყუარა მეცნიერებასა. მაგალითებრ, ერთს მილიონს ჯარს თუ მეტს რომ ორასი ათასი კაცი დააკლდეს, ძველი მატყუარა მათემატიკა გვეფიცებოდა, რომ ეგ კლება არისო და ჩვენც სულელებს გვჯეროდა ეგ ფიცი. ეხლა

მოჭიდავეს ეტყობა, რომ ხამია, გარემო მოწყობილება და იმდენის ხალხის შეკრებილება აოცებს და, ვგონებთ, ამითი აიხსნება, რომ ჩვეულებრივ მოჭიდავეებისამებრ თავისუფლად არ გამოდის მოედანზედ. ამათ შემდეგ გამოვიდნენ უპირველესნი მოჭიდავენი ესებუა და ლოლაძე. ესებუასთან შედარებით მოწინააღმდეგე მკვრივად ჩასხმული, სხვილ მკლავ-ძარღვა და წითური ვაჟკაცია. გამოსვლისათანავე, დაეტაკნენ თუ არა ერთმანეთს მებრძოლნი, ლოლაძემ წაიჩოქა და, თავისდა უნებურად, ესებუაც იმისს მაგალითს მიჰყვა, ქვემოდამ მხრებში წაავლო, გადაჰზნიქა, ძალა-უნებურად ფეხები გვერდზედ წამოაღებინა და თუმცა ლოლაძე ბევრსა სცდილობდა თავი შეემაგრებინა, მაინც პირ-უკულმა გადააქცია ესებუამ და ზურგზედ დასცა ასეთი არა-ფალავნური გამარჯვება საზოგადოებას არ მოეწონა, კვლავ იმათი დაჭიდება მოითხოვა და ისინიც დაიჭიდნენ. ლოლაძემ კვლავ წაიჩოქა, მუხლის თავები და მკლავის იდაყვები დედამიწას დააბჯინა კუსავით და აღარ დაიძრა. თუმცა ესებუამ ბევრი უარბინა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, ფეხზედ წამოყენება მოუწადინა, მაგრამ ვერას გახდა-რა. ასეთს უბრალო ბღლარძუნში გაატარეს ნახევარ საათზედ მეტი. ბოლოს, ხალხის თხოვნით, გაშველდნენ. ქალაქის ბიჭობა კიდევ მაინც ესებუას უსტვენდა, თუმცა იგი იყო გამარჯვებული. ეტყობა, გლდანელის დამარცხება ვერ მოუნელებიათ.

*** **ცხინვალი:** სხვათა შორის ცხინვალელებს ერთი სენი ჰქონდათ ძვალსა და რბილში გამჯდარი, და აგერ წელიწადი გახდა, რაც ამ სენმა მიიძინა და ჩვენც გვიხაროდა, ღმერთი შეგვეწია და სამუდამოდ ავიცილეთ თავიდგან ეს სენიო, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, კიდევ იჩინა თავი ამ სენმა. ეს სენი გახლავსთ მტრობითა და შურის-ძიებით ცეცხლის წაკიდება. აი ერთმა შურის-მძიებელმა წაუკიდა ცეცხლი ლევან ხახანაშვილის ლობეს 19-ს ამ აგვისტოს; ნავთით წაკიდებულმა ცეცხლმა საჩქაროზედ დაურბინა გამხმარს ლობეს და დაეძგერა ერთის ღარიბის აზნაურიშვილის დადგმულ ოთხ საძნე ურემს თივას; თივამ უცებ მალლა აიტაცა ალი და გააგებინა მთელს საზოგადოებას, თორემ, თქვენი მტერი, ამ შუაღამე მოტანებულს დროს გადაიწოდა ხახანაშვილის ვენახი; ხალხმა საჩქაროდ მოასწრო ზარის რეკაზე და ჩააქრო ლობე, ასე რომ ხახანაშვილს ზარალი მაინცა და მაინც არა მოსვლია-რა; მხოლოდ თივები-კი შთანთქა შეუბრალებელმა ცეცხლმა.

*** **ცხინვალიდგან:** „თეთრი თხა შიგნიდგან მსუქანი ეგონათო“, სწორედ ეს ანდაზა ჩვენს ქართლელებზედ ითქმის. შევყურებდით მშვენიერს მობიბინე ყანებს და გულში რაღაც ჩუმი იმედი გვეძლეოდა, მაგრამ მოვსტყუვდით: რისაც იმედი გვქონდა, იმისი მეოთხედი არ მოგვსლია წელს. ჩვენის აზრით, 2 მანეთს არ უნდა გადასცილებოდა პური, მაგრამ ეხლავე კალოზედ სამ მანეთ ნაკლებ არ იყიდება. ამას ისეც უნდა დავსძინოთ, რომ წელს საქონლის საკვები ბლომად გვექნება, რადგანაც მოსავალი ბზედ გადაიქცა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ზოგიერთი სოფელი ქართლში სეტყვამ ინაცვალა და საღაც-კი ახხია ვენახს, ზედ დაჰკანკალებენ. კვლავ არასოდეს გვინახავს ეს ამბავი ცხინვალში. ძველი ღვინო სულ გაიზიდა, ასე რომ შოვნა აღარ არის; ახალსაც დღე-დღეზე მოელიან და, იმედია, რიგიანს ფასებში გაიყიდოს წელს ტკბილები. კვლავ ამ დროს ოთხ მანეთად იკვეთავდნენ და წელს-კი ვერავის ათქმევინებთ ტკბილების დაკვეთას, რადგანაც ბაზარი მიეცა ცხვინვალის ღვინოებს; იმედია, 4 მანეთად გასაყიდ ტკბილს შეიდ და რვა მანეთში გაჰყიდიან და თუ შეინახავენ, ხომ აშკარა არის, ცამეტი და თოთხმეტი მანეთი მზად იქნება.

*** **იქიდგანვე გვწერენ:** ამ რამდენისამე დღის წინად სოფელ ზემო ნიქოზის ეკლესიის კარებზე მიუგდიათ ერთი სუფთად გახვეული ბავშვი, შეხედულებით ოთხის დღისა იქმნებოდაო. მოუნათლაობის ზარალიც თანა ჰქონია საწყალს ბიჭუნას. ეს ყმაწვილი მეორე თუ მესამე დღეს მოუნათლავთ. ამბობენ, ამ სოფელს არ ეკუთვნისო და არც უბრალო გლეხკაცის შვილი უნდა იყოსო, რადგანაც ძლიერ სუფთად ყოფილა სამოსლებში გამოხვეული.

*** 11-ს სექტემბერს პირველს განყოფილებაში გლეხი აბელ ხუდავერდოვი წასჩხუბებია ტფილისის მოქალაქეს გრიგოლ მიქელაშვილს. ხუდავერდოვს დანით დაუჭრია გვერდში მიქელაშვილი. ჭრილობა საშიში არ არის. მიქელაშვილი საავადმყოფოში გაუგზავნიათ და დამნაშავე შეუპყრიათ.

*** იმავე დღეს, მეექვსე განყოფილებაში, ეჩმიაძინის მონასტრის სახლში, ტფილისის მოქალაქის აბას ზამონოვის დუქანს ცეცხლი გაუჩნდა და ჭერი დაიწვა. ცეცხლი შინაურებს გაუქვრიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** 11-სავე სექტემბერს, მეექვსე განყოფილებაში, სპარსეთის ქვეშევრდომი მაშადი-მეხთი-ასკარი წასჩხუბებია სპარსეთისავე ქვეშევრდომთ ჰუსეინ-უსუპ-ოღლის და მამედ-ოღლის. მეხთი-ასკარს დიდის დანით დაუჭრია პირველი მარცხენა ხელში და მეორე—მარჯვენა გვერდში. დაჭრილები საავადმყოფოში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს.

---

## ლაპ'ლსოფელი

(მოწერილი ამბავი)

ცხინვალი. ცხინვალელებს დიდი იმედი და ნუგეში მოგვეცა მას შემდეგ, რაც სასწორი და საყასბო გავმართეთ, მაგრამ ჩვენთვის ორივე ამაო გამოდგა. სასწორისა და საყასბოს ფულიდგან არა მიჰკარებია-რა საზოგადოებას. ამას ჯანი და სული გავარდეს, ნათქვამია, ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო. მაგრამ აი რა არის საფიქრებელი: ეს სასწორი სხვის ადგილზე გვქონდა გაკეთებული სამის წლით. ვადა უკვე შესრულდა და ამ დღეებში ადგილის პატრონმა გამოუცხადა მამასახლისს; მამასახლისმა დეპუტატებზე მიუთითა და დეპუტატებმა მამასახლისზე; ბოლოს ყველანი დაემალნენ რაღაცა განზრახვით და ადგილის პატრონი იძულებული შეიქმნა საჩივარი შეეტანა სასამართლოში და ეძიებს ოთხს თუმანს დარჩენილს ქირას და ოც-დაათ თუმანს ჯარიმას პირობის ძალით. ჩვენი ბატონნი მზრუნველები სანამდე გაჩუმებულნი ბმანდებიან, „ლისტს“ გამოიტანს მემამულე, თავისს ფულს ჩაასახარებენ და საზოგადოებას მტვერს აადენენ. არც პირველი გახლავს ეს საქციელი ამ ვაჟბატონებისა; ამისთანა ათიათასობით მომხდარა და ხდება და ჩვენ რაღად უნდა გაგვიკვირდეს. მართალია, ამ სასწორმა ცხინვალელებს არაფერი მიაკარა, რადგანაც ზოგიერთების ჯიბეებმა შთანთქეს, მაგრამ სოფლის გლეხკაცს-კი დიდ რამედ მიაჩნდა ეს სასწორი და იმისი მოედანი, ასე რომ, რაც-კი მოემზნებოდა, მოეჭირნებოდა, ავენებდა სასწორზედ და მოედანზედ და, როგორც იყო, ჰყიდდა. დღესაც იმავე გაჭირვაში ჩავარდა ხალხი, როგორშიაც ამ სამი-ოთხის წლის წინად უოფილან: მოედანზე აღარ უშვებს მამულის პატრონი დატვირთულს ურმებს და თუ გადაიტანეს, ფულს ახდევინებს. ამიტომ ურმები ჩამწკრივებული აქვსთ გზებში და კაცის გასავალი გზა აღარსად არის. ამის გამოვე ზოგი სცემს სატოდავ გლეხკაცს, ზოგი აგინებს და ზოგიც ფეხებს უბრაგუნებს და იძულებულია საწყალი ორის მანეთის საღირელი მანეთად გადაავდოს. ჯერ-ჯერობით მარტო შეირნახული და მიდის სასწორზედ ასაწონად, იმედია ამასაც ჩქარა მოელებს ბოლო და ესეც საწვალებელი გაუხდება და ქუჩა-ქუჩა სატარებელი, რადგანაც მტკაველი ადგილი არსად მოეძებნებათ ცხინვალელებს ისეთი, რომ სასწორიც მოუთავსდეთ და მოედანიც. აბა მაშინ დაისვამენ დასხლს რისამე შემომტანელები, აი. ბრძანებენ ხოლმე ზოგიერთები: სასწორი რა ჩვენი საქმეაო, ვიწრო ქუჩებში რომ გაზეზრდებიან კისერში ცემით, მაშინ მოვურიგდებითო. თუ არადა, სასწორზედ და მოედანზედ რას ნაღვლობენ, როგორც უნდა, ისე გაჭყიდონო.

კვლავაც გვქონია იმაზე ლაპარაკი, თუ ჩვენი ცხინვალელები როგორ თხა და მგლებივით შეჰყურებენ ერთმანეთს. რა აქვსთ ამ დალოცვილებს ერთმანეთში გასაყოფი? არაფერი, მამა ძემ და სულმა წმინდამ, მხოლოდ ერთმანეთის შური და უსინიდისო გაიძვერ-მელიაობა. დალოცვილს ცხინვალელებს ერთხელვე შეუხორცებიათ ერთმანეთის მტრობა და შურის-ძიება და ღამის შვილის-შვილებამდე გადავიდეს ეს წარწყმედილი სენი. დალოცვილმა მეცხრამეტე საუკუნემ ქვეყანა აავსო სწავლა-განათლებით და, ჩვენ, ცხინვალელებს-კი არა მიაკარა-რა მტრობისა და შურის მეტი. ეს დალოცვილები დილით საღამომდე სულ იმასა სჩივიან, რომ მოთრეულებმა დაიჭირეს ცხინვალიო და ჩვენ ვიღა ვართ აქაო. ნეტავ რას აშავებენ ეს მოსულები? ზოგი თამრაშენიდგან ჩამოსულა, ზოგი ხიდისთავიდგან, ზოგიც გუჯაბაურიდგან, ზოგი ხელოსნობს და ზოგიცა ვაჭრობს. ვის რა წაურთმევია, ვის რა დაუკლია ცხინვალელებისათვის? აბა ერთი მიჩვენეთ, რომელმა მოიგო ცხინვალში ფული, რომ ცხინვალშივე არ დახარჯა. ეს კარგად იციან, მაგრამ მაინც სატოდავებს თავიანთს ქერქში არ აყენებენ და ხან აქეთ უკრავენ თავებს და ხან იქით, ხან წაღმა ატრიალებენ და ხან უკუღმა. საწყლები ცოლისა და შვილის შიმშილსა და წუწუნს გამოექცევიან, აღდგომით ნემსი და სათითე, უნდა ლუკმა პური მიაწოდონ და ამ დალოცვილს ცხინვალელებს ჩაუგდიათ და უნდათ შესწვან და შესჭამონ. აი ამის საბუთს აქვე მოვიყვან, რომ ცხინვალელებმა ტყუილში არ დამიჭირონ. წარსულ მკათათვის 12-ს მამასახლისებმა და დეპუტატებმა დასდვეს პირობა იმაზედ, რომ შემოსულებს კიდევ გააწერონ ხარჯი და მამასახლისმა აჭრიაბოს... აქედგან მეტს ხანს აღარ გაუვლია, რაც დროებით შემოსულთ ხალხს ოც-და-თორმეტი თუმანი შეაწერეს სხვა წვრილ ხარჯებს გარდა. საქმე გადასცეს აღსასრულებლად ცხინვალის მამასახლისს. ესეც დაფაცურდა, შეადგინა, როგორცა ჰნებავდა, განაჩენი და დაიბარა ერთის სადამოს დროებით მცხოვრებელი ხალხი, გამოუცხადა თავისი განაჩენი და სთხოვა ხელი მოაწერეთო. ხალხმა დიდი უარი განუცხადა და უთხრა, ჩვენ სამსახური არ გვაკლიაო, ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ხარჯსაც ვიხდით და ბეგარასაცაო. მაგრამ ჩვენი სინიდისია, თუ თქვენი ძალა, ბეგარა-ყარაულში და სხვა წვრილ ხარჯებშიაც მხარში გიდგევართ. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლიან, რაღაც განაჩენი დაგიდგენიათ, ხელი მოვაწეროთო. ხალხი წამოვიდა. ესევე მეორედ განუმეორა და მაინც ხალხი არ დასთანხმდა; არ დასთანხმდა იმიტომ, რომ იციან დღეს რა ცეცხლში არიან ამდაგან და ხვალ და ზეგ რაში იქნებიან, როდესაც ამათს ხელმოწერილს განაჩენს იგდებენ ხელში. ამ საგანზედ მესამედ ხალხი ჩაფრით ჩარეკა კანცელარიაში და ძალა დაატანა: ან უნდა ხელი მოაწეროთ, ან არა-და ვირის აბანოში ანუ საყინულეში ჩაბმანდეთო. სატოდავებმა იცოდნენ, რა დღეც დაადგებოდათ და ძალ-დატანებით ზოგიერთებმა მოაწერეს და ვინც არ მოაწერა, იმან-კი ნახა საპატიმრო. აბანოდგან გამოსულებს შეაწერეს ხარჯი. თუ ეხლაც არ მოაწერეს ხსენებულს განაჩენზე, კიდევ ის აბანო, კიდევ უარესი უჯიათი,—ასე ცეცხლში ჭყავთ შემოსული ხალხი და გამკითხველი-კი არავინა სჩანს, რომ ეს სატოდავები დაიხსნან ამისთანა ტანჯვისაგან და დაუნიშნონ კანონით, თუ რითი უნდა ემსახურნენ სოფელს ანუ მო-

---

გამოდის, რომ ეგ კლება-კი არ არის, თითქმის მატებაა.

ეს საშინელი ცდომა აღმოაჩინა ბ-მა შავროვმა და თუ ვინმე ეხლა საქებსადიდებელია ჩვენს ქვეყანაში, იმათში პირველი ბ-ნი შავროვი უნდა იყოს. რას ბძანებთ, დღეის ამას იქით რომ ჯიბიდამ ორასი ათასი მანეთი ამოვიღო და წყალში გადავყარო, თურმე ნუ იტყვით, მე არა დამაკლდება-რა. სომხები, რასაკვირველია, ამას არ დაუჯერებენ ბ-ნ შავროვსა და შავროვის დანახვაზე ჯიბეს უფრო ხელს მოუჭერენ, მაგრამ ქართველებისათვის კი ეს სწორედ ხსნა არის. ეხლა და მარტო ეხლა გავიგე და შევიტყე, რა საბუთი ჰქონია ქართველს კაცს, რომ ჯიბიდამ ფული უფანტავს. თურმე ამით არა დაჰკლებია-რა და რისთვის-ღა უნდა შეწუხებულიყო გაფრთხილებისათვის.

თუ ესეა, სამართალი მოითხოვს, რომ ამ ცდომის აღმოჩენაში სახელი ქართველებს დარჩეს და არა ბ-ნს შავროვს, რომელსაც ამ შემთხვევაში მარტო ის სამსახური მიუძღვის, რომ თეორიით აღმოაჩინა ის, რაც დიდი ხანია ქართველებს საქმით აღმოჩენილი გვქონია. მაგრამ არა, განა ვაშლი ხიდამ ჩამოვარდნილი და მიწაზედ დაცემული სხვას არავის ენახა, რომ მარტო სახელოვანმა ნიუტონმა აქედამ თავისი დიდი კანონი აღმოაჩინაო, სამართლით, ამ დიდის კანონის გამომძლავნება ვაშლს უნდა მიეწერებოდეს, მაგრამ კაცობრიობამ-კი არ იყაბულა ეს და სახელი და დიდება აღმოჩენისა მაინც ნიუტონს დაუთმოცა. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და ბ-ნი შავროვი სახელისა და დიდებისაგან არ უნდა გამოვწიროთ და თუმცა მოედანი ჩვენია, ბურთი-კი იმას უნდა დავუთმოთ უცილებლად. ამინ და კირიელეისონ.

აი საქმე რაშია. ბ-ნს შავროვს ერთს რუსულს ჟურნალში დაუბეჭდია წერილი და იმ წერილში ბრძანებს, რომ ერთის დაძახის მეტი არ უნდა და ამიერ-კავკასიის მკვიდრთაგან ორასი ათასი ცხენოსანი ჯარი გამოვაო. თუ ომი ასტყდა, ეს ორასი ათასი ჩაოუქესანი ცხენოსანი მივუსიოთ მტერსაო. მოლტკეც რომ იყოს, იმასაც-კი გზა და კვალი დაებნევა ამ მისევისაგან და სულ ბრეს გავადენთო. მართალია, იქნება ამ ორასის ათასისაგან არც ერთი არ გადარჩეო, მაგრამ ჩვენ ამით არა დაგვაკლდება-რაო. მართალიც-კია მე და ჩემმა ღმერთმა! აბა ბ-ნს შავროვს იმათის გაზრდაში რა დაჰხარჯვია, რო იმათს გაჟლეტაში დააკლდეს რამე.

საოცარ არიან საქმენი ძეთა ადამისთანი, უფრო საოცარია ჭკუა ადამიანისა: ზოგან, ბატონო, სულ ვერა სჭრის და ზოგან-კი სადამდე აღწევა ხოლმე! ჭკუა, რომელიც ფოთის ნავთსადგურის ძირს ვერ ჩასწვდა, დახეთ სადამდე ავიდა, რომ მთელი არითმეტიკა თავდაყირა ჩააქუდა უმადურს შავს ზღვაში, თითქო ნიშნ-მოგებით ეუბნებოდეს: არც ახლა დამყვები ჩემს ნებაზედაო.

არ ვიცით შავი ზღვა დაჰყვება თუ არა და ეს-კი უეჭველია, რომ ბ-ნს შავროვს მხედართ-მთავრად არავინ მიიწვევს, თუნდ დილიდამ საღამომდე იფიცოს, რომ ორას ათასს კაცს ერთს დღეს შევაკლავ მტერსა და მით არაფერი დამაკლდებაო.

საკვირველი ორ-ფეხია ადამიანი! ხომ ამბობენ, რომ ზნე-ხასიათი ადამიანს მემკვიდრეობით დაჰყვებაო და მაზეა გამოთქმული ქართული ანდაზა: „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო“, მაგრამ არც ერთია მართალი და არც მეორე. აბა როგორ მართალია: მამა-შავროვი ორას ათასს კაცსა ჰჟლეტს და აინუნშიაც არ მოსდის ამოდენა ხალხის გაწყვეტა და შვილი-შავროვი-კი დღესა და ღამეს აწვრილებს, რომ ჭია ჰზარდოს და აცხოვროს. ხომ მოგეხსენებათ, რომ ამ ჭიათ-მოყვარე შვილმა არაკაცთ-მოყვარე მამისამ ხელი მიჰყო და აბრეშუმის ჭიის მოყვანას შეუდგა. აბა ერთი მეორეს საიდამა ჰგავს! ერთისათვის ორასი ათასის კაცის გაჟლეტა არაფერია, მეორისათვის-კი ერთის ჭიის გაზრდაც დიდი რამ არის. მოდი და ამის მნახველმა მამა ჰნახე და შვილი ისე გამონახე. ამ გამონახვაზედ რომ მივარდეს საქმე, კაცთამჟლეტია მამას კაცთა მჭამელი შვილი უნდა გამოსვლოდა, მაგრამ ღმერთმა გვიხსნა ამ რისხვისაგან და თუმცა კაცთა რიცხვს მამა ათხელებს, მაგრამ შვილი ჭიასაც-კი ამრავლებს.

რის ნიშანია ეს? ნუ თუ იმისი, რომ შვილი აღზდგა მამასა ზედა!.. არა, ღმერთმა გვიხსნას ამისთანა ცოდვილ ფიქრისაგან. ვინ იცის, იქნება აქ არავითარი განხეთქილება არ იყოს მამისა და შვილის შუა. პირ-იქით, იქნება ორივე ერთს საგანს ემსახურებიან? დაქინებული და ჯიუტი ჭკუა რატომ ამას არ იფიქრებს, მაგალითად, რომ კაცთა რიცხვს მამა ათხელებს, რათა ჭიათა გამრავლებას ადგილის ვიწროობამ არ დაუშალოს და ადგილი მოეარიელდეს. გრძნობა სამართლიანობისა გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ეს მეტის-მეტი გესლიანი განმარტებაა რთულის ამოცანისა, თუმცა-კი ლოლიკას აქ ვერაფრით შეუხვალთ.

(შემდეგი იქნება)

ხელეებს. იმათ ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, ვისაც მამა-პაპური დარჩენიათ და დღეს გორში იხდიან ხარჯს, იმათ რა ჰქნან, ვისაც ნემსი და სათითე დაუჭერიათ და სიღარიბით დუქნის ქირას ძლივს იხდიან. იმათ რაღაზე ექცევიან ასე უსამართლოდ, ნუ თუ ღმერთი მოუწონებთ ამ გვარ საქციელს, მაგრამ ამათ ღმერთიც დაჰვიწყებიათ და სინდისიც, ამათთვის სულ ერთია მამულიანიცა და უმამულოც, ღარიბიცა და მდიდარიც, ყველას ერთ ნაირად უგიდია ცეცხლი, ყველა ერთ ტაფაში იწვის: გინდათ, იხადეთ რასაც გიბძანებთ, არა-და, საიდგანაც მოთრეულხართ, იქავე წაეთრიეთო. დალოცვილებს არ აგონდებათ და არა ჰფიქრობენ, თუ აქ არავინ არის მოთრეული, ყველა საქართველოში დავბადებულვართ, ოფლითა ვშოულობთ ერთს ლუკმა პურსა და უკანასკნელ იქავე ჩავალთ საფლავში. რატომ არ დაფიქრდებიან ჩვენი ჭკუის კოლოფი ცხინვალელები: ესენი რომ შემოეფანტნენ, ცხინვალი უკანასკნელი გუჯაბაური იქნება და არა ცხინვალი... ან რატომ იმას არ წარმოიდგენენ, რომ ქალაქები შემოსულის ხალხითა ქალაქობენ. ცხინვალელების აზრი რომ სხვაგანაც განხორციელდეს, ხომ იმათ შვილებსაც იმ ყოფით გამოისტუმრებენ, რა ყოფითაც ესენი აპირობენ შემოსულის ხალხის გაფანტვას, რუსეთიდგან, კავკავიდგან, მერვიდგან და სხვა ადგილებიდგან.

ლაპარაკს გავყევი და ის ვეღარ მოგახსენეთ, რომ სასო-წარკვეთილმა შემოსულმა ხალხმა მიჰმართა თხოვნით ბ-ნს გუბერნატორს და იმედიცა აქვს, რომ იგი მამაშვილურის თვალით გადმოჰხედავს, დაიხსნის ათას ნაირ გაჭირებიდგან და აუკრძალავს ამ გვარ საქციელს ცხინვალის გაუმაძღარს მოხელეებს.

~~~

**საჩხერე**, 8 სექტემბერი. სწორედ უნდა მოგახსენოთ; ახალი სძულთ ჩვენს საჩხერელს ბატონებს გაზეთი და განსაკუთრებით ქართული, მეტადრე ერთის შემთხვევის გამო. ან რისთვის უნდა უყვარდესთ? კაცი სცხოვრებს უზრუნველად, სამწუხარო არა აქვს-რა, ქებისა და დიდების მეტი არაფრისაგან არა ესმის-რა და ამასთან ისიც-კი იცის, რომ გაზეთში იმისთანა რამსმეს წაატყდება, რაიცა გულსა და სულს მოუშხამავს და ამ უზრუნველსა და ტკბილს მდგომარეობას მოუწამლავს. ვინ იცის, იქნება სადილ-ვახშმის მადაც-კი შეურყიოს. აბა რის გულისათვის გაიჭიროს უჭირველი საქმე? თუ ამასა ბძანებთ, ახალი ამბები საჭიროაო, სხვა რამე თორემ, აქ იმოდენი ახალი ამბებია, რომ ვერც-კი დატეულა მთელს საჩხერეში. მადლობა ღმერთს, აქ იმოდენა თავ-მომწონე ბატონები ბძანდებიან, თითო-ოროლა სიტყვა რომ ითქვას თითოზე, მთელის წლის ამბად იკმარებს; იმასთან სხვა გრძნობის დამატკბობელიც ბევრი რამ მოიპოვება აქ: წელიწადში ორჯელ თუ სამჯერ წარმოდგენაც-კი გაიმართება ხოლმე; ამას გარდა ჭორები და სხვა ამისთანა აქაურების გრძნობის დამაკმაყოფილებელი ხომ გამოულეველია; მუდმივი ბანქოს თამაში აღარც-კი არის სახსენები, ასე რომ საჩხერეს თავისი სამყოფი ყველაფერი თითონვე აქვს, სხვისი არა უნდა-რა და ნურც არას სხვები გამოელიან აქედგან.

ერთის სიტყვით, საჩხერე გახლავსთ პატარა ჩინეთური სამეფო. სადილ-ვახშმებზე, სმა და ქეიფზე კი სწორედ საჭირო არ არის რამე ელაპარაკო, რადგანაც ამაეზე „ივერიამ“ უჩემოდაც ამას წინად დიდი ალიაქოთი გამოიწვია საჩხერეში. აბა მოდი და შეიყვარე ამისთანა გაზეთი. წარსულს წელში, როდესაც საჩხერე თავისებურს ტკბილს ნეტარებაში სუფევდა, ვიღამაც მოუსვენარმა, საიდგანღაც იყო, ერთი ნომერი „ივერიისა“ შემოაპარა, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა, რომ თ. წ—ბი სულ ღვინის სმაში ატარებენ დროსაო. თქვენ უნდა გენახათ მაშინ ეს ჩვენი პატარა ჩინეთი, მთელი არეულობა მოახდინა გაზეთმა. დაჰკრეს ბუკი და ნაღარა და ბრალიანი და უბრალო ყველა გაიძახდა: „ვინ გაბედა ჩვენზე გაზეთში დაწერა, ჩვენთან ვის რა ხელი აქვსო“. იმისთანა დღე თქვენს მტერს დაადგეს, ჩემო მკითხველო, რაც იმისს დამწერს დაადგებოდა მაშინ, რომ ის საჩხერეში გამოჩენილიყო.

რამდენიმე თუვე დიდებული სადილები და პიკნიკები სულ ამაზე ლაპარაკით იყო დამწარებული; შემდეგ დიდის დავიდარაბისა გადაწყვიტეს პასუხი ეგოთ გაზეთისათვის. ახლა ამაზე ასტყდა კამათობა; ყველამ თავისი აზრი წარმოსთქვა, თუ როგორ ეპასუხნათ. ამაზე სხვა-და-სხვა აზრი იყო წარმოთქმული. ერთი აზრი ის იყო, რომ უკეთუ ჩვენი პატრიარხი ნოე ღვინით, ჩვენ განა კაცები არა ვართო, და მეორე, რომელიც წარმოსთქვა ერთმა კნეინამ და ერთ-ხმად მოწონებულ იქმნა, ის იყო, რომ თვით იესო ქრისტემ ღვინო ცოდვების მისატევებლად დაგვიდგინაო, სიკვდილის დღესაც-კი ვალდებულნი ვართ დავეწაფოთ ჩვენს ნუნუას, რომ ნათლად წარვსდგეთ იმ სოფლადაო, და თუ ჩვენ ამას მტკიცედ ვასრულებთ ყოველ დღე, ნუ თუ აქ რამე გასაკიცხი და შემაგინებელი არისო?

დიდის „ბრაოს“ ძახილის შემდეგ იქვე დასვეს მწერალიც, რომ პასუხში ეს აზრიც მოეხსენებინა. მწერალმა დაიდო წინ ტაბლაზე ქაღალდი, მოჰკიდა ხელი კალამს და დაფიქრებულმა, თუ როგორ დაიწყოს წერილი, ჩააწო კალამი საწერელში, მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი განცვიფრება და იმასთან სხვებისაც, როდესაც მელანმა ქაღალდზე კვალი არ დააჩნია, მელნის მაგიერ საწერელიდამ ღვინო ამოჰყვა. თურმე წინა დღეს ვიღაც ქრისტეს მტერს გახურებულის სმის დროს ღვინო მოუპარავს, თავისის ჯიბიდამ ნამალევად ამოშრალს საწერელში გადაუსხამს, რომელიც იქვე ახლოსა მდგარა. შემდეგ ისევ არჩიეს და პასუხის შეთხზა მიანდვეს ერთს აქაურს მელექსეს, რომელმაც ლექსებით შემკული პასუხი კიდეც გაგზავნა რედაქციაში პირდაპირ, სანდო კაცის ხელით; ვინ იცის, ფოსტით გაგზავნილს რა დაემართებაო. მაგრამ—დახეთ ღვთის განგებას!—აქაც ბედმა უღალატათ: იმ სანდო კაცს არა თუ ეს პასუხი, მთელი თავისი ნივთებიც ამასთან ჩაწყობილი გზაზე დაეკარგა. აი რა ამბავი ასტეხა იმ ერთმა კონტრაბანდით შემოტანილმა ივერიამ და ყველა ნომრები რომ შემოეპარებინათ, ვინ იცის კიდევ რას წაატყდებოდნენ საჩხერლები.

ზევით მოგახსენეთ, საჩხერლებს სხვისი არა უნდათ-რა, თავისი ახალი და ძველი ამბები თვითონვე აქვსთ-მეთქი. სწორედ რომ აქ ბევრი ამბებია და თუ ნებას მომცემთ, ცოტას „ივერიის“ მკითხველებსაც გავუზიარებ, მე რომ აქაური ვიყო, მაშინ ეს არ შემეძლება, რადგანაც ჩინეთის კანონების ძალით აქედგან გარედ გამტანი აქაურით კუთვნილისა, ან რომლისამე შემთხვევისა და ამბებისა სასტიკად დაისჯება ხოლმე, მაგრამ მე ამ კანონს არ ვექვემდებარები.

უნდა მოგეხსენებოდესთ, რომ იმერეთის მეფემ დიდი პაპუნა წერეთელი სიმამრითურთ მიიწოდა ქუთაისს და დაჰხოცა ურჩობისათვის; შემდეგ იგივე მეფე საჩხერისაკენ გამოემგზავრა მთელის წერეთლის გვარის ამოსახოცად. მაშინ პაპუნას ცოლი გამაგრდა ციხეში, „მოდინახეში“, და თვითონ მეფე შემოიხვეწა შერიგებას. ახლა ზოგიერთს უმეცარს ჰგონებია, რომ ეხლანდელი ქალი იმისთანა მხნეობას ველარ გამოიჩენსო. რომ ეს უმეცრები ძალიან შემცდარნი ბრძანდებიან, ეს საკმაოდ დაამტკიცა ამ დღეებში ერთმა მოხელის ცოლმა კ—ა N—მა. კ—ა N—მა საჩხერის უბრალო ხალხს, ბაზრელებს, რაღაც ადგილზე დავა დაუწყო; ამ უკანასკნელებმაც თავი გამოიდვეს და ეხლანდელ კანონებით გათამამებულებმა პირდაპირობაც-კი დაუწყეს, მაგრამ მალე მტერი მოგიკვდათ, მალე კ—ამ იმათ მწარე დღე დააყენა და ყურეზიც ჩამოაყრევინა. N—მა კიდეც გადააჭარბა დიდის პაპუნა წერეთლის ცოლის მხნეობას. დღევანდელი გმირი კ—ა N—ი ჯერ პირდაპირ იერიშით მივიდა საჩხერის ბაზარზე, მერე „ბლოკადა“ გაუკეთა—შეუკრა წყალი, ურომლოდაც მთელს ბაზრელებს არც არასოდეს უცხოვრიათ და არც შეუძლიანთ ცხოვრება. მხოლოდ ურიები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ადგილის დავაში, ასცდნენ ამ განსაცდელს. ამ საუკუნეში არსად მომხდარა, რომ ურიობა ენატროს კაცს და აქ-კი ეხლა ქრისტიანები ურიაობას ნატრობენ. ამბობენ, ბაზრის პატარა ბიჭები, ქრისტიანები, კიკინებს იკეთებენ და ისე მიდიან დოქებით წყალზე, ვითომ-და ურია ვართო, მაგრამ ეს ხერხიც გაუგეს თურმე და ბევრს გადაამტვრიეს თავზე დოქი. უნდა მოგახსენოთ, კიდევ დიდხანს ვასძლეს უწყლოდ ბაზრელებმა; ერთი კვირა მეტია წმინდა წყალი თვალით არ უნახავსთ, მხოლოდ ერთად-ერთის აყროლებულის ჰიდგანა სმენ მთელი ქრისტიანი ბაზრელები, მაგრამ ან-კი სანამდე გასძლებენ?! ადრე იქნება, თუ გვიან, უნდა დაჰყარონ იარაღი...

ზემოური

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო ახალქალაქიდგან ბ-ნის ხუციშვილის წერილი, პასუხი ჩემის კორრესპონდენციისა.

ეტყობა, ბ-ნს ხუციშვილს მარტო ჩემის წერილისათვის უცია პატივი და გაუბედნიერებივარ პასუხით, მაშინ-როდესაც ადრევაც უთხოვნიათ, რომ მოეცა გაზეთით იმ წარმოდგენების ანგარიში, რომელიც იმართებოდა ამ თერთმეტის წლის წინად. არ ვიცი რად მოსვლია ეს ასე? იქნება იმიტომ, რომ ეგონა დროს ბევრი რამ შეუძლიან და რაც ხანი გაივლის, უფრო ადვილია კაცი დავიწყებაში შევიდეს და, მაშასადამე, ადვილად შემიძლიან ცრუ საბუთებით თავი გავიმართლოვო. არა, ბ-ნო ხუციშვილო, ისევ ის გერჩივნათ მაშინვე მიგეცათ საზოგადოებისათვის ანგარიში, რადგანაც უფრო ადვილად მოიშორებდით თავიდგან ჭირს; ეხლა ნუ გწყინებათ, რომ თქვენისავე ბრალით შესტოპეთ სიცრუეში. ერთს ადგილასა ბრძანებს ბ-ნი ხუციშვილი, რომ ახალქალაქის ზოგიერთ ახალგაზრდათა საზოგადოებისთვის ისტორიას უანდერძებია მუდამ ქეიფი და ნუნუათი დროს გატარება და ესენიც მტკიცედ ასრულებენ ამ ანდერძსაო. უნდა გავსტყდეთ და ვსთქვეთ, რომ ეს ძალიან სამართლიანად მოუხსენებია ბ-ნს ხუციშვილს, მაგრამ თავისი თავი რომ არ ჩაუწერია ამ მეტად სანატრელ ქართველების წევრების სიაში, ეს-კი ვერაფერი ამბავი მოსვლია.

შემდეგ ლაპარაკობს ბ-ნ „ხუციშვილი: სოფიო სიმონის ასულს დაებადა აზრიო, რომ დაარსდეს ახალქალაქში ბიბლიოთეკა, მაგრამ ეს აზრი ვერ შესრულდათ და ამის მიზეზად გამოჰყავს ის გარემოება, ვითომ ისინი, რომელთაც სურდათ ქალთა სკოლის სასარგებლოდ გაემართათ წარმოდგენა წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ წიგნთ-საცავის დაარსებაზე. აქაც, როგორც ყოველ ადგილას თავისს კორრესპონდენციაში, ცოტათი სცდება ბ-ნი ხუციშვილი, რადგანაც წინააღმდეგობა ამ შემთხვევაში არავის არ გამოუცხადებია და არ ვიცი საიდგან წარმოიდგინა ბ-ნმა ხუციშვილმა, რომ ის არც-კი დასწრებია იმ ყრილობას, როდესაც ჰქონდა ლაპარაკი ამ წარმოდგენის შესახებ ჩვენს საზოგადოებას. ჯერ ეს ერთი, ბატონო ხუციშვილო, რომ ახალქალაქის წიგნთ-საცავზე კარგა ხანია ჰქონდა ლაპარაკი აქაურს საზოგადოებას და კიდეც დავსწერე ამაზე რამდენიმე სიტყვა გაზ. „დროებაში“, და მეორეც ესა, რომ წიგნთ საცავი ამ სამის წლის წინად კიდეცა გვქონდა აქ დაარსებული. გახსოვთ ნინო ლუკას ასულმა რომ მოიტანა ტფილისიდგან რამდენიმე წიგნი ჩვენის მწერლებისა და ჩაგაბარათ თქვენ. რატო მაშინათვე არ გამოაბით თავი და არ ისარგებლეთ ამ პირველის ნაბიჯით, რომ უფრო ვრცელი წიგნთ-საცავი დაგვეარსებინათ? რად შეაჭმევინეთ ეს წიგნები თაგვებს? ამის მოწმად მომყავს მამა ნესტორ მაჭარაშვილი. მეორე ისა, რომ არ შეიძლება დაგვისახელოთ ისინი, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ წიგნთ-საცავისა? წინააღმდეგნი რომ ყოფილიყვნენ ისინი, რომელნიც, როგორც ბრძანებს ბატონი ხუციშვილი, ჰმართავდნენ საქალებო სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენებს, მაშინ რად მიიღეს მონაწილეობა იმათ, რომელთ თაოსნობითაც იმართებოდა ეს წარმოდგენები, სახელდობრ ნიკო თარხნიშვილმა და ესტატე თარხნიშვილმა. სამი წელიწადია, რაც ჩვენს სოფელში იმართება წარმოდგენები, და ამ სამს წელიწადში რაც ჩვენ სცენა შევიძინეთო, არც ერთი თუმანი არ დაგვიხარჯავს სცენის მოსამართავადაო, ბძანებს ხუციშვილი. ვიდრე ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა, სჯობდა ეკითხნა: ბ-ნთ ნათაძესათვის, გუნიასათვის, ნიკო თარხნიშვილისათვის და იაკობ მანსვეტაშვილისათვის, რა დაუჯდათ შარშანდელი წარმოდგენა და რა მასალა შეიძინეს სცენისათვის კიდევ, როცა გამართეს წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“?

ამის შემდეგ ანგარიშს გვაძლევს იმ წარმოდგენებისას, რომელიც იყო გამართული ამ თერთმეტის წლის წინად და თითო-თითოდ იწყებს, რა წელიწადში რის სასარგებლოდ იყო გამართული წარმოდგენები და როგორ იქმნა მოხმარებული შემოსული ფული. აქ-კი, სწორედ მოგახსენოთ, დროებას თავისი უმოქმედნია და დაუვიწყნია ის თხუთმეტი თუმანი, რომელიცა ჰქონდა ჩაბარებული და რომელზედაც კერძოდ ლაპარაკობს—გავასესხეო. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც შეუძლებელია საზოგადოდ ჩაბარებულის ფულის გასესხება. ასე თუ ისე, სჯობია ანგარიში მისცეს საზოგადოებას, თუ სად ჩაიჩქმალა ის თხუთმეტი თუმანი?

საკვირველი არ არის, რომ ადრინდელის წარმოდგენების ანგარიში დავიწყებული ჰქონდეს ბ-ნს ხუციშვილს, რადგანაც კარგა დრომ ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ ამ ზაფხულს რომ წარმოდგენები გაიმართა, ეს ხომ დიდი ხანი არ არის? აქ რაღა მოსვლია, ბ-ნ ხუციშვილს, რო აგრე უტყუებია? ბატონს ხუციშვილს 31 მანეთი-კი არ დარჩა ამ წარმოდგენებიდან, ნაღდი ფული დარჩა 80 მანეთი. ამას ადვილად დაგიმტკიცებთ ახალქალაქელი ბოქაული, რომელმაც ეს ფული გაუგზავნა ქალთა კომიტეტის თავ-მჯდომარეს. მართალია, ხარჯიც ამ წარმოდგენებზე კარგა ბლომად იყო, მაგრამ ამისი დამნაშავე თქვენა ბძანდებით, რადგანაც სუფთად შეგინახავთ სცენის მასალა, მხოლოდ ცარიელი იატაკის ფიცრები დაგრჩენიათ და დანარჩენი სცენის მასალა თაგვებს შეუჭამიათ, რადგანაც ეხლაც, სცენისათვის რომ წარმოდგენა იყო, დაგჭირდათ კიდევ იმ მასალის ყიდვა, რა მასალაც შარშან ზაფხულსაც იყო ნაყიდი, როცა გაიმართა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

რა ლხინზე ლაპარაკობს ბ-ნი ხუციშვილი თეატრის ფულით, არ მესმის, ამას მე მგონი თითონაც ვერ გაიგებს: ბილეთები ბოქაულის თანადასწრებით ისყიდებოდა და ხარჯიც იმის თანადასწრებით იყო. არ შეიძლება თვითონ ბოქაულსა ჰკითხოს: როგორ გაბედა, რომ თეატრის ფულით ლხინი გაამართვინა?

ფული დახარჯეს და სცენისათვის-კი ვერაფერი ვერა შეიძინეს-რაო, ბძანებს ხუციშვილი. აქაც ჭეშმარიტი არა-რაა, რადგანაც მასალაც ბევრი შეიძინეს, მხოლოდ თქვენ აღარ ჩაგაბარეს, რადგანაც ერთხელ ჩაბარებული ამანათი პირ-ნათლად ვერ შეინახეთ.

თავის უთავ-ბოლო ლაპარაკით ჰკიცხავს ნიკო ხუციშვილი ნებიერიძეს, რომელმაც არ დაიზარა და ტფილისიდგან მიეშველა იმ კეთილს საქმეს. რა ზოგ-ზოგ ურიგო სიტყვებზე ლაპარაკობს ნიკო ხუციშვილი? შესაძლებელია ეს სიტყვები არ მოსწონებოდეს: «აი შენ-კი ჩაგეკონე უსურვაზის წნელივითა». ორი სიტყვა კიდევ ბ-ნს ხუციშვილს: თაოსნებს-კი არ მიუწვევიათ არტისტები, თვითონ იმათა სცეს პატივი ამ კეთილს საქმეს და მობძანდნენ მონაწილეობის მისაღებად, არა როგორც არტისტები, არამედ როგორც მოყვარულნი კეთილის საქმისა.

თუ ჩვენ მიერ ნათქვამს გვიკიჟინებს, რომ არტისტებმა თუ არ იცოდნენ როლები, მაშ საზოგადოებამ საიდგან-ღა შეისწავლაო, ამაზეო ვუპასუხებთ: იმიტომ მოხდა ასე, რომ მოთამაშეთა შორის სამი სომეხი იყო, რომელთაც ქართული არ იცო-
~~~

დნენ, და ორსავე რიგის უცოდინარობა ზნედა სჭირთ—იმერელსა და კარაპეტას.

ახალქალაქელი

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პრეზიდენტი რესპუბლიკისა სადი-კარნო დიდის ამბით მიუღიათ ყველგან, სადა-კი მოსულა ამ ზაფხულს. ბულანჟეს მიმხრენი ცდილან თავიანთი კერპი წამოეყენებიათ ამავე დროს, მაგრამ იმედი გამტყუნებიათ. პირველსავე ხანად-კი ისმოდა აქა-იქ ყვირილი: „გაუმარჯოს ბულანჟესაო?“, მაგრამ მალე ეს ხმები შემწყდარა და ყველა რესპუბლიკელი დიდის პატივის-ცემითა და ერთგულებით მიჰგებებია თავისს პრეზიდენტს. ყველგან განუწყვეტელი ჟრიამული იდგაო. მოხელენი, მოქალაქენი, ვაჭარნი, მდაბიონი ყველანი აღტაცებით ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“, „გაუმარჯოს კარნოს!“ „გაუმარჯოს ფლოკეს!“-ო.

**ავსტრი-ვენგრია.** კრეიცში დიდის ამბით უციათ პატივი დიაკოკორის ეპისკოპოსის შტროსმაიერისათვის. როცა ბურგომისტრი მისალმებია ეპისკოპოზს, შტროსმაიერს გრძნობით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს. მერე მუსიკას დაუკრავს. მუსიკის შემდეგ ყმაწვილ ქალთა გუნდს უთქვამთ შემდეგი სიმღერა: „გვიყვარხარ და გვეყვარები, შენ ხარ ჩვენი სიქადული“. ამის პასუხად შტროსმაიერმა კვლავ წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა სხვათა შორის შემდეგი: „ფრიად მოხარული ვარ, რომ თქვენ ეგრეთი გულ-მხურვალე მამულის მოყვარე ასულნი ჰყოფილხართ. რაც რომ გრძნობათა დედაკაცის გულს დანერგულა, იმისი აღმოფხვრა მეტად ძნელია, იმ ქვეყანასაც, სადაც დედაკაცს მაგ გვარის აღტაცებისა და აღფრთოვანების უნარი აქვს, არ მოაკლდება სიცოცხლე, ძალა, გამარჯვება, დიდება. მერმისი მისი უზრუნველ-ყოფილია.

— ეპისკოპოზს შტროსმაიერს მისელია დეპეშა გრაციდამ: გირჩევთ ზემო-ზანტალის საპატიო მოქალაქედ და გიგზავნით ამის შესახებს დიპლომსაცაო. ეპისკოპოსს მადლობა შეუთვლია ზემო-ზანტალელთათვის.

— მკითხველს ეცოდინება, რომ სხვათა შორის არა მცირედი ძალა აქვსთ ავსტრი-ვენგრიის რეიხსრატში ჩეხიის დეპუტატებსაც. ისიც ეცოდინება, რომ ეს დეპუტატები ორ დასად არიან გაყოფილნი. ორივე დასნი ერთსა და იმავე საგანს ემსახურებიან, ერთი და იგივე სურვილი აქვსთ, მაგრამ გზა-კი სხვა-და-სხვა აურჩევიათ. ერთი დასი იმ აზრისაა, რომ ნელ-ნელა, თანდათან, გარემოებათა მიხედვით უნდა მოვუპოვოთ ჩვენს ქვეყანას ბედნიერებაო, ხოლო მეორენი არა კადრულობენ, რომ გარემოებას შეუფერონ თავიანთი მოქმედება, და ხმა-მაღლა იძახიან: ჩვენს ქვეყანას ისეთივე უფლებანი უნდა მიენიჭოს, როგორიცა აქვს ავსტრიასა და ან ვენგრიასაო. ამას გარდა თვით იმპერატორი უნდა დაგვირგვინდეს წმ. ვიაჩესლავის გვირგვინით ჩვენს სამეუფო ქალაქ პრაგაშიო. თუ-კი მადიარებს აქვსთ ასეთი უღლებანი, ჩვენ რატომ აღარ უნდა გვქონდეს? ჩვენ, ჩეხები, პირველი ერი ვართ, რომელიც ხმლითა და ჯვარით იბრძოდა თავისს სარწმუნოებისა და ენის დასაცველად. რად უნდა დავიჩაგროთ ვისგანმე? თუ ავსტრიის გერმანელნი თავიანთ თანამევარე ჩრდილო მეზობელზე მიგვითითებს და იტყვის, აიგერა, ვისი იმედი გვაქვს ჩვენაო, ჩვენც შეგვიძლიან ჩვენი აღმოსავლეთის უძლიერესნი თანამევარენი დავასახელოთ და ვუთხრათ, რომ აიგერ უზარმაზარი ხე სლავიანობისა, იმისი ძლიერი ტომი ვართ ჩვენაო. ნუ ვიკმარებთ ნამცეცებს, როგორც ზოგიერთნი სჩადიან ჩვენში, და მაშინ ჰნახავთ, რომ ჩვენი მდგომარეობა გაუკეთესდებაო. ასე ლაპარაკობენ და სწერენ მეორე დასის წარმომადგენელნი, მაგრამ ის-კიავიწყდებათ, რომ ამით იმათაც ხელს უშლიან, ვისაც საგნად გაუხდია ჩეხიაში ნელ-ნელა, თანდათან, გარემოებათა მიხედვით აკეთოს თავისის ქვეყნის საქმეები და დააყენოს სამშობლო წარმატების უეჭველს გზაზედ.

---

## წვრილი ამბები

პარიჟში შემდგარა ახალი საზოგადოება მონობის მოსასპობლად აფრიკასა და იმ ქვეყნებში, რომელნიც არ ექვემდებარებიან ევროპის დიდთა სახელმწიფოთა. ამ საზოგადოებას დამოკიდებულება აქვს სამისიონერო საზოგადოებებთან. საზოგადოების კომიტეტები პარიჟის უმთავრესს ადგილებში ჰმოქმედებენ. საზოგადოება შუამდგომელობს მთავრობის წინაშე, რომ იგიც დაეხმაროს ამ იმისს სურვილს მონობის მოსპობისას. ამისათვის ერთ უმთავრეს საშუალებად ისა აქვსთ, რომ უნდა აღუკრძალონ მონების მატრონებს თოფების შენახვა და შუა აფრიკაში თოფის წამლის შეტანა.

— ნიუ-იორკის ახლანდელი მოქანდაკე დ-რი გალდა წელიწადში 1.125,000 მანეთამდე იღებს თურმე.

— ისპანიის გენერალს რიკველმს, რომელიც ამას წინად გარდაიცვალა ბარსელონში, დაუტოვებია ანდერძით ერთი მილიონი ფრანკი გრენადაში თავშესაფარის გასამართავად ქვრივებისა და ობლად დარჩენილ აფიცერთა ქალებისათვის. მოანდერძეს სურვილისამებრ, თავშესაფარში მისაღებად უპირატესობა ლამაზებს უნდა მიეცეთ. ამ გვარს შეზღუდვას უფლებისას ზნეობრივის სისუსტაკითა ჰხსნის გენერალი: „იმიტომაო, ამბობს ანდერძში,—რომ რაც უფრო ლამაზი ქალია, მით უფრო ადვილად შესაძლებელია იმისი ამ ქვეყნად გაუბედურება».

— სამწუხარო ამბავი მომხდარა ამას წინად ჩარლეს, ინგლისშია, ერთის მღვდლის დასაფლავების დროს. კუბოს წინ, ჩვეულებისამებრ, სანთლები ყოფილა ანთებული. უეცრად ცეცხლი გასჩენია კუბოს სახურავს და კუბოცა და მღვდლის უსულო გვამიც ერთს წუთში გადამწვარა.

— შვეიცარიაში ამ ჟამად სულ ოთხი უნივერსიტეტია, რომლებშიაც 1,853 სტუდენტი-კაცი და 197 სტუდენტი-ქალია: ციურიხისაში—579 კაცი, ჟენევისაში—537, ბერნსაში—527 და ბაზელისაში—407 კაცი. ფაკულტეტის მხრივ შვეიცარიის სტუდენტები ასე არიან განაწილებულნი: მკურნალობასა სწავლობს 801 კაცი, იურისპრუდენციას—319, ფილოსოფიას—570, თეოლოგიას—238. რაც შეეხება სტუდენტ-ქალებს, უმეტესობა ამ ქალთა მკურნალობასა სწავლობს—103, ხოლო ფილოსოფიას—94. ყველა სტუდენტებში 1,237 შვეიცარელია, 170 გერმანელი, 160 რუსეთის ქვეშევრდომი და 34 ფრანგი. ამ ოთხს უნივერსიტეტს ახლო ხანში მიემატება მეხუთეც—ლოზანნისა.

---

## დეპეშა

10 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დღეს დაბრუნდა პეტერბურგში დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსი.

**სამარა.** სამარა-უფის რკინის გზის კურთხევის დროს გზათა მინისტრმა სთქვა, რომ ყოველსავე ღონეს ვიხმარ, რათა აწ გავლებული ლიანდაგი რკინის გზისა გატარებულ იქმნას ირკუტსკამდე ომსკა, ტომსკსა და კრასნოიარსკზეო.

გუშინ სამარიდგანა და უფიდგან პირველი ხალხის მატარებელი დაიძრა.

**ტაშკენტი.** ისხაკ-ხანი ამ ჟამად მაზარ-შერაფში იმყოფება; იმისი შეილი ჯარით ქაბულს უახლოვდება. ემირი აბდურახმან-ხანი ცოცხალია და ქაბულში იმყოფება; ორივე მოწინააღმდეგენი ახლოს არიან ერთმანეთზე. შეტაკება ჯერ არა ჰქონიათ-რა.

**ვენა.** ჰერცოგინია კლემენტინა კობურგისა დღეს ადრიანად წავიდა სოფიაში.

11 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ თანხმად ნებართვისა, რათა გამოცემულ იქმნას 15 მილიონის კრედიტის ბილეთი და გადაცემულ ექმნას ამასთან ერთად სახელმწიფო ბანკს 15 მილიონი ოქროც იმ ბილეთების სახურდავ ფონდად, ორჯელ შემოწმებულ იქმნა: ერთხელ 6 სექტემბერს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების სარევიზიო კომიტეტისაგან, სახელმწიფო კონტროლერის თავ-მჯდომარეობითა, და მეორეჯელ 7-ს სექტემბერს იმავე კომიტეტისაგან თანადასწრებით ბირჟის სოვდაგართა დეპუტატებისა და უცხოქვეყნელ სტუმრებისა და ფინანსთა მინისტრის ამხანაგისა. აღმოჩნდა, რომ ხსენებული 15 მილიონი იმ ოქროსაგან არის აღებული, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო ხაზინას, სახელმწიფო ბანკს აბარია და განსაკუთრებულ სახელდახელო ანგარიშთა რიცხვში სწერია.

**სიმლა.** ინდოეთის მართებლობას მიუღია ცნობა ემირ აბდურახმანისაგან, რომ 12 სექტემბერს ემირის ჯარები მისულან რინში, გაიბაკის მახლობლად, და რომ გაიბაკის მამასახლისები ჯარებს დამორჩილებიან. როგორც ისმისო, ისხაკ-ხანი გაქცეულა ბუხარისაკენ. სიმლაში ეს ამბავი არა სჯერათ.

ჩიტრალიდგან იწერებიან, ვითომ ისხაკ-ხანი წასულა ბადაშანში ამბოხების მოსახდენად ემირის წინააღდეგ.

12 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრმა უქვეშევრდომილესი მოხსენება მიართვა ხელმწიფე იმპერატორს 8 სექტემბერს ნაკურთხის სამარო-უფის რკინის გზის თაობაზე. ამის პასუხად ხელმწიფემ გააბედნიერა გზათა მინისტრი და მისწერა შემდეგი დეპეშა: „გულითა და სულით მიხარის კურთხევა სამარო-უფის რკინის გზისა, მით უმეტეს, რომ მაგ გზის გაკეთებისათვის ნახმარი იყო განსაკუთრებით რუსეთში მოპოვებული მასალა. გმადლობთ თქვენცა და ყველა იმათაც, ვინც იშრომა ამ საქმისათვის. გთხოვთ ესევე შეატყობინოთ სამარისა, უფისა და ბულურუსლანის მკვიდრთა. მადლობელი ვარ იმათი კეთილის სალამისათვის.

გუშინ საღამოს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა მოსკოვში გაიარა და წავიდა ყირიმს.

როგორც ამბობს „С.-Пет. Вѣд.“-ი, შინაგანთა საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ საქალაქო ორ-კაპიკიანი გადასახადი პურისა მარტო იმ ხორბალზე იქნება ხოლმე აღებული, რომელიც წყლის გზით მოაქვთ მოსკოვში პურის მეიდანზედ და არა იმ პურზე, რომელიც სხვა გზით შემოდისო.

**ბერლინი.** აქ სტუმრად მყოფი მეფე ბერძენთა, რომელიც მხოლოდ რამდენსამე დღეს დარჩა, გუშინ საღამოს წაბრძანდა ვენაში და იქიდამ საბერძნეთს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 სექტემბერი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 71 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 151½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 19 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 260½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 236 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 98 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 98 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | 83 | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

13 დღე სამშაბათი. წამება საქართველოს დედოფლის ქეთევანისა, 1616 წ. კათოლ. ეპ. მავრიკისა. სომეხ. მე-2 დღე ამაღლების მარხვისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 5—53. მთვარე 20 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 | 3½ | „ |
| ჭვავის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


## განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანცულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა
გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Сентября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.